3 N55

ცნობის ფურცელი

№ 1855 ოთხშაბათი, 3 ივლისი **1896—1902** ყოველ-დღიური გამოცემა № 1855

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ჩვენ პატივცემულ მუშტრებს საყურადღებოდ პატივი მაქვს გამოვაცხადო, რომ

გ. ი. პალლიზენის

ქაღალდის ქარხნების სააქციონერო საზოგადოებასა, რჟევსკის ქაღალდის ქარხნების სააქციონერო საზოგადოებასა და კოტელევსკის ქაღალდის სააქციონერო საზოგადოებაში

მუშაობა არ შეჩერებულა,

მაშასადამე ამ საზოგადოებათა ამიერ-კავკასიის საწყობებში **განუწყვეტელი ვაჭრობაა.** მხოლოდ სახელმწიფო ბანკის სურვილით პალლიზენისა და რჟევსკის ქარხნებისათვის დანიშნულ იქმნა ადმინისტრაცია; კოტელევსკის ქარხნებთან კი ადმინისტრაციას საქმე არა აქვს. **არავითარი ლიკვიდაცია არ მოხდება.** პირიქით, გამგეობა, უერთდებ რა სახელმწიფო ბანკის გადაწყვეტილებას, დარწმუნებულია, რომ ეს გარემოება ხელს შეუწყობს ჩვენის ქარხნების საქმეთა აღდგენას, და ადმინისტრაცია ამ რიგად მხოლოდ დროებითი საშუალებაა.

(3—2) ამიერ-კავკასიის საწყობის გამგე **ი. გაიდამაკინი**

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი"

სურათებიანი დამატებით

1-ლ ივლისიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარედ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **3** მან. და **50** კაპ.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ვ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუქოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი ნერვებისა და ბავშვებისა. სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

გრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ.-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ვ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვგინ-მგიდისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- ტელეფონი № 274. (წლ.)

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრებს სთხოვენ დაესწრნენ საზოგადოების სხდომას ოთხშაბათს, სამს ივლისს, საღამოს რვა საათზე.

განსახილველი საგნები:

1) სასტატისტიკო ბიუროს წევრების ამორჩევა; 2) საბჭოს მოხსენებანი: ა) შუამდგომლობა ლონისძიების აღმოსაჩენად, რომ გამოფენის ზარალი დაიფაროს, ბ) შუამდგომლობა მუღანის მინდვრის მორწყვის შესახებ და გ) საზოგადო კრებათა და საბჭოს პროტოკოლები.

(უცხო პირებს შეუძლიანთ დასწრება).

(2—2)

ბორჯომში

ექიმი ვ. ლამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის $8^1/_2$—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ახსახვევთან, გინცენბერგის სახლი.

ცხინვალში

კბილის ექიმი

სატირიქა გრიგორის ასული

შერმაზანოვი

მიიღებს 3 ივლისიდან კბილით ავადმყოფებს.

(2—1)

ქ. გორში,

ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე

ტურიაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს ავადმყოფებს: შინაგანითა, საბავშვო და თვალის.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი

პ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდის, საღამოთი 7—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდ-ე მიიღებს აგრეთვე საქიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუ-ლაევის სახლი.

ბებია

პ. მ. ლიმონი

ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლოს რიგზე. (0—21)

კიდევ ჩვენ და სომხები

—

ხშირად გაგვიგონია ჩვენში ერთი მარტივი, მაგრამ შემცდარი აზრი, ვითომც თუ მომხრე ხარ რისიმე ან ვისიმე, ყველაფერი უნდა მოიწონო მისი. ვისმე რომ პატივს სცემდეთ და რომელიმე მისი საქციელი თუ დაჰგმეთ, მაშინათვე შემოგძახებენ აქეთ-იქიდან: თქვენი ვერაფერი გაგვიგია, ხან აქებთ იმ ადამიანს, ხან აძაგებთო!

ეს აზრი თუ უსაფუძვლოა კერძო ამა თუ იმ კაცის შესახებ, მით უმეტეს მთელის საზოგადოების, ერის შესახებ. ჩვენ ვილაპარაკეთ სომხების წინააღმდეგ, ჩვენ მომხრე ვართ მათთან ერთობისაც. ზოგიერთებს ეს უპრინციპობა ჰგონიათ, და როდესაც ერთობის მომხრე ვართ, არმენოფილს გვეძახიან, როდესაც სომხების წინააღმდეგ ვწერთ რასმე,—არმენოფობს, რაიც ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

ამიტომ საჭიროდ ვსთვლით, განვმარტოთ ჩვენი შეხედულება.

ჩვენ ყოველთვის გვაინტერესებდა კავკასელ ერების ერთობა, ბევრჯელ გვიფიქრნია ამაზე და ვერასოდეს ვერ წარმოგვიდგენია მომავალი თუ არა ამგვარ ერთობად. გეოგრაფიულ, ეკონომიურ, პოლიტიკურ პირობებს მხოლოდ ამ ერთობისაკენ მიჰყავს კავკასია. ამის წინააღმდეგობა იქნებოდა ერის დაღუპვა; ვისაც ჰგონია, რომ შეიძლება საქართველოს კეთილდღეობა სხვა კავკასელ ერთა განშორებით, ცალკე, მას არ ესმის დღევანდელი ვითარება... ეს არის ჩვენი სახელმძღვანელო პრინციპი, რომელსაც არასოდეს არ ვუღალატებთ.

მაგრამ ერთობის აუცილებელი პირობაა ერთმანეთის უფლებათა აღიარება. საუბედუროდ, ჯერ-ჯერობით კავკასიის ერნი არ განვვითარებულვართ იმდენად, რომ შეგვეძლოს ჩვენს ურთიერთობაში სამართლიანობის დამყარება. ჩვენ ადვილად ვაყენებთ ერთმანეთს შეურაცხყოფას, ვაზვიადებთ საკუთარ ღირსებებს და უფლებას და მხედველობაში არ ვიღებთ სხვისას. ჩვენ არ ვიცით, რა არის ჩვენი, რა არის სხვისი; ყველას ბევრი გვინდა. დღევანდელი უთანხმოება, შეტაკება, არეულ-დარეულობა მალე არ მოისპობა. ჩვენში ხდება დღეს რაღაც დუღილის მსგავსი, გაუგებრობა, ერთმანეთის წაგლეჯ-გაგლეჯა.

სრულებით არა ვცნობთ ერთმანეთის ღირსებას, არა ვცემთ ერთმანეთს პატივს. ამის მაგალითების ძებნა არ დაგვჭირდება: ვის ჩვენგანს არ გაუგონია ქართველებში ლაპარაკი—სომხები გაფუქებული ხალხია, გაუტანელი, მოკლებული საზოგადოებრივ თვისებას, ისინი დაიფანტნენ აქეთ-იქით, გადაგვარდნენ, მათი მომავალი დაღუპულია. რაღა შორს წავიდეთ: გუშინ წინ არ იყო, რომ „ივერიამ" ზღაპრული პროექტი გამოაცხადა სომხების გასარეკად! სომხებიც კარგად გვიხდიან სამაგიეროს—ამბობენ და სწერენ უცხოეთშიც, რომ კავკასია სომხების და რუსების შეიქნება, სხვები ან გარუსდებიან ან გასომხდებიანო. იმავე „ივერიაში" დაიბეჭდა გუშინ ერთის სომხის აზრი, რომ ქართველები სუსტის ნიჭის არიან, ერთობას და საზოგადოებრივობას მოკლებულნი და სხ...

დიაღ, მომავალი ერთობისაა! შეგნებულმა კავკასელებმა უნდა ვიფიქროთ და ვიზრუნოთ ამ ერთობაზე, მაგრამ ყველაზე უწინარეს უნდა აღვიაროთ, რომ ეს შეუძლებელია, თუ არ ვიცნობთ ერთმანეთის ღირსებას, პატივს არა ვცემთ ერთმანეთს. განა შეიძლება იქ ერთობაზე ლაპარაკი, სადაც ერთობაზე მოსაუბრეს გულში სხვა უდევს? სადაც, მაგალ. სომეხი ყოველს სოფელს და ქალაქს, რომელშიაც ათიოდე სომეხი მცხოვრებია, ჰაისტანის ტერიტორიის ნაწილად სთვლის და გატაცებულია დიდის არმენიის იდეალით, ან სადაც ქართველი ჰფიქრობს თამარ მეფის საქართველოზე? განა ერთობას ვხედავთ მაშინ, როდესაც ეს ერთობა მხოლოდ პირბადეა იმისთვის, რომ ქართველებმა თუ სომხებმა მეტი თეთრი კენჭი იშოვონ არჩევნებზე? ეს არის ერთმანეთისადმი პატივისცემა, ნდობა, საერთო ცხოვრების ნიადაგი, ერთობა?

არა, ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ასეთის ერთობისა! ერთობა ჩვენთვის საშუალება კი არ არის, ვინმე მოვატყუილოთ, დავჩაგროთ, ვისმე უფლება წავართვათ, არამედ თავისთავად არის ჩვენი მიზანი. ჩვენ გვწამს მისი გამარჯვება, მისი აუცილებელი საჭიროება და არავითარის გარეშე მოსაზრებით არ შევბღალავთ მას. უპირველესად ჩვენ გულწრფელნი ვართ, ვამბობთ იმას, რასაც სულით და გულით მოწადინებულნი ვართ, ამას ვთხოულობთ სხვებისაგანაც. წინააღმდეგნი ვიქნებით იმ ქართველებისა, რომელნიც მოინდომებენ ვისიმე უფლება შეზღუდონ ან დაჩაგრონ, ამასთანავე ყოველთვის დავგმობთ და ვებრძვით იმ სომხებს, რომლებიც ჩვენს უფლებას პატივს არა სცემენ. სასაცილოა, სწორედ, როდესაც ჩვენისთანა პატარა, სუსტი ერები ერთმანეთის შექმაზე ვფიქრობთ, რაღაც ზღაპრულის, სამუდამოდ დამარხულის, უნიადაგო იდეალის ოცნებებით ვცხოვრობთ, არ ვხედავთ იმას, რაც წინ გვიდევს, რაც ყოველ დღე ჩაგვჩიჩინებს სოლიდარობის აუცილებლობას. კიდეც რომ შეგვეძლოს, ერთის ბედნიერებას ვერ ავაგებთ მეორეს უბედურებაზე, მაგრამ ეს ყოვლად შეუძლებელი და მოუხერხებელია...

ჩვენ ვიცით, რომ არიან ისეთი სომხები, რომლებიც გულწრფელნი მომხრენი არიან კავკასიელთა ერთობისა, ისინი ჩვენთან არიან და ჩვენ მათთან ვიქნებით ყოველთვის; გულწრფელად, გულ-ახდილად, ერთმანეთის სრულის ნდობით და იმედით ვემსახურებით ამ საერთო საქმეს!

გალამი.

საზღვარ-გარედ

—

ინგლისი. 22 ივნისს (ახ. სტ.) ასი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც ინგლისში პირველად გამოვიდა საქარხნო კანონი. მას მხოლოდ ცოტა რამ ჰქონდა სახეში,—„დაეცვა ჯანმრთელობა და ზნეობა იმ ყმაწვილებისა, რომელნიც ფაბრიკებში მუშაობდნენ". მაგრამ ამ პატარა კანონზე აშენდა მთელი სისტემა კანონებისა, რომელმაც შესამჩნევად გააუმჯობესა ხალხის მდგომარეობა. ავსტრალიელ მწერლის, მარკუს კლარკის ერთ რომანში დახატულია საშინელი სურათი ტასმანიის და ნორფოლკის კუნძულის კატორღისა. ახლა ამ სურათს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა-ღა აქვს, რადგან ავსტრალიაში გადასახლება, როგორც სასჯელი, დიდი ხანია აღარ არსებობს; კატორღის ყაზარმები, საპყრობილეთა არხივები და სხვა, რაც კი იმ დროს მოაგონებდა, პარლამენტების ბრძანებით დასწვეს. კლარკის რომანიდან სჩანს, რა საშინელ წამებას იტან-

დნენ პორტ-არტურის (ტასმანიაში) კატორღელები, რომელნიც მხოლოდ იმიტომ იყვნენ გაგზავნილნი, რომ ტრედ-უნიონებში (მუშათა ინტერესების დამცველი საზოგადოება) და გაფიცვაში მიეღოთ მონაწილეობა. დღეს ერთიცა და მეორეც დიდი ხანია ნება დართულია საფაბრიკო კანონმდებლობისაგან. იმ ნიადაგზე, სადაც მარკუს კლარკის კატორღელები იტანჯებოდნენ, იქ შემდეგში აღმოცენდა მთელი პარტია, რომელმაც თავი ისახელა მრავალის მნიშვნელოვან კანონების შექმნით. ამ გვარად პატარა მარცვალი უზარმაზარ ხედ იქცა: 22 ივნისის 1802 წლის კანონი შეიქმნა წყარო გაბედულის სოციალურ ცდისა ახალ ზელანდიაში, ვიქტორიაში და ახალ სამხრეთ უელსში. მარკუს კლარკის ჯალათებს სიზმრადაც არ მოეჩვენებოდათ, რომ სამოცი წლის შემდეგ სწორედ იმგვარივე ხალხი, რომელსაც ისინი გარეულ მხეცივით მათრახით იმორჩილებდნენ, ავსტრალაზიის ბედის გადამწყვეტელი შეიქნებოდა; რომ ამდენ ნიჭიერ სენატორებს მისცემდა ქვეყანას, რომ მეტროპოლია მასთან მეგობრობასა და კავშირის დაჭერასაც კი ეცდებოდა. ფერერს (კლარკის გმირია, გუბერნატორი ნორფოლკის კუნძულზე) რომ ასეთი სიზმარი ენახა, უეჭველად წამოიძახებდა: არას დროს!—სწორედ იმ სიტყვას, რომელსაც დიდი სიფრთხილით უნდა ხმარობდნენ პროგრესიულ განვითარების შეჩერების მსურველნი.

გერმანია. იმპერატორი ვილჰელმი მალე პოზნანში უნდა მივიდეს. საოლქო სეიმზე თავი მოიყარეს პოლონელმა წევრებმა და ვიცე-პრეზიდენტის კამერგერის გრაფ ჟოლკოვსკის პირით მიჰმართეს პოზნანის დიდი საჰერცოგოს უზენაეს პრეზიდენტს ასეთის წერილით: „თქვენო აღმატებულებავ! რადგან მოსალოდნელია, რომ იმპერატორის მობრძანების დროს საოლქო სეიმსაც ხვდეს დიდი პატივი მისის უდიდებულესობის შეგებებისა საოლქო სეიმის სასახლეში, პოზნანში, მიღების დროს არეულობის ასარიდებლად, ჩვენ მოვალედ ვრაცხთ ჩვენ თავს წინდაწინვე გაუწყოთ შემდეგი: ახალი კანონ-მდებლობითი ზომები, პოლონელების წინააღმდეგ მიმართულნი, და საყვედური, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ მის უდიდებულესობისაგან, მეტად გვაღელვებს და გვაღონებს და ჩვენ არ ძალგვიძს შესაფერის სიხარულით შევეგებოთ მის უდიდებულესობას, ჩვენს ყოვლად მოწყალე ხელმწიფეს. ჩვენი მწუხარება მხოლოდ ჩრდილს მიაყენებდა ბრწყინვალე დღესასწაულს. ამიტომ იძულებულნი ვართ ვითხოვოთ თქვენი აღმატებულებისაგან, რომ უარი არ გვითხრათ და აუხსნათ მის უდიდებულესობას მიზეზი, რომელიც ამართლებს ჩვენს იქ არ-ყოფნას. მიუხედავად მრავალის განკარგულებისა, რომელნიც ჩვენს სამშობლოში მიმართულნი არიან ჩვენის ხალხისა და ჩვენის ქონებრივი კეთილდღეობის წინააღმდეგ, და რომლითაც თვით ბავშვების გული პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ ბრძოლის ასპარეზად გადაჰქმნეს, გვახსოვს რა მცნება უფლისა, ჩვენ მაინც გვსურს დავრჩეთ ერთგულ ქვეშევრდომებად მისის უდიდებულესობის იმპერატორის და მეფისა. ჩვენ თავს დამნაშავედ არა ვგრძნობთ არც შესახებ სახელმწიფოსა და არც მონარქიისა, და იმას კი, ვითომ განგვეზრახოს მონარქიისაგან მოშორება, ან აწინდელი წესის შეცვლა, გულის წყრომით უარ-ვყოფთ, როგორც უსაფუძვლო ცილის წამებას. ვსასოებთ რა ადამიანთა ბედის უზენაესის ხელმძღვანელის ძლიერებას და მრავალჯერ დამტკიცებულს შორს-გამჭვრეტელობას მის უდიდებულესობისას, ჩვენ სრულის ნდობით ველით იმ საათს, როდესაც ჩვენს გარემო ხელოვნურად შექმნილი ბურუსი გაჰქრება და ჩვენი ფიქრების სიწმინდე, როგორც მოქალაქეთა და ერთგულ ქვეშევრდომთა, გაბრწყინდება იმპერატორის და მეფის თვალთა წინაშე. მაშინ ჩვენ ვიქნებით იმ მდგომარეობაში, რომელსაც დღეს ამაოდ ველტვით: დავრჩებით რა ერთგულნი ჩვენის ეკლესიისა და ერისა უკანასკნელ წუთამდე, ჩვენ შეგვეძლება ხარკად მივართვათ მის უდიდებულესობას არა მარტო ჩვენი ერთგულება, როგორც ახლა, არამედ ჩვენი სიხარულიცა და მადლობაც; შეგვეძლება მშვიდობიანად და თანხმობით ვიშრომოთ მონარქიის კეთილდღეობისათვის ჩვენს გერმანელ თანამოქალაქეებთან ერთად“.

აი რა ენით ლაპარაკობს თავმოყვარე და თავის თავის პატივისმცემელი პოლონელი თავად-აზნაურობა. თუ ვილჰელმი შეისმენს მის სურვილს, რაც სრულიად მოულოდნელია, ხომ კარგი, თუ იგი არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს მას უქვეშევრდომილეს ერთგულებას, ან ეცდება მის გათახსირებას და შეურაცხყოფას, მაშინ თავად-აზნაურობას ის ნუგეში მაინც დარჩება, რომ ლაქიობას ვერავინ დასწამებს და ერი ვერ ეტყვის,—ამ შემთხვევაში მაინც—მოღალატე ხარო.

საფრანგეთი. ამ დღეებში პარიზში შესდგა საზოგადოება, რომლის საგანია აუშენოს სახლები ისეთ ოჯახებს, სადაც ბევრი ბავშვები ჰყავთ. ეს საზოგადოება ისევე არის შემდგარი, როგორც სხვა ამშენებელი სააქციონერო საზოგადოებები. ერთი ნახევარი მისგან აშენებული სახლები უნდა მიჰქირავდეს აუცილებლად ისეთ პირებს, რომელთაც ჰყავთ არა ნაკლებ სამის ბავშვისა. ვარაუდით ასეთი ბინა ეღირსება წელიწადში 210 ფრანკი (77—78 მან.), მაგრამ აქციონერები მაინც 3% აიღებენ თავის ფულზე. ახალი საზოგადოება ძალიან სასარგებლო საზოგადოებაა და ღარიბ-ხალხის ერთ უმთავრესს მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, რადგან პარიზელ სახლის პატრონებს ეჯავრებათ იმ ოჯახების დაყენება, რომელშიაც ბევრი ხალხია, მეტადრე—თუ ოჯახი დაბალ კლასს ეკუთვნის. რამდენიმე თვის წინად ერთმა მუშამ, რომელსაც გამოგდება დაუპირეს იმიტომ, რომ შვილი შეემატა, გაბრაზებულმა რევოლვერი ესროლა სახლის პატრონს. სამსჯავრომ ეს მუშა გაამართლა.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. პირველ ივლისს მოხდა ქალაქის თავის არჩევანი. არჩეულ იქმნა დავით არჩილის ძე ლორთქიფანიძე, რომელსაც ამოუვიდა 42 თეთრი კენჭი და 1 შავი. გამგეობის ერთის წევრისა და საბჭოს მდივნის არჩევნები ორ ივლისისათვის გადაიდო

ახალი ამბავი

✦ ქუთაისიდან დეპეშით გვატყობინებენ, რომ გუშინ, შუადღის 1 საათზე **დამწვარა აბრეშუმის ძაფის** გამოსახვევი ქარხანა სანაძისა. ზარალი დიდია.

✦ ამ რამდენისამე ხნის წინად კავკასიის მთავარ-მართებელმა აღძრა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ყოველ წლობით 10,000 მან. გადაიდოს განსაკუთრებულ თანხის შესადგენად. შემდეგ ამ თანხით ეკლესიები უნდა ააგონ კავკასიის იმ სოფლებში, სადაც **რუსეთიდან გადმოსახლებულნი** სცხოვრობენ. უწმ. სინოდის ობერ-პროკურორს ეს შუამდგომლობა წარუდგენია სახელმწიფო საბჭოსათვის და უთხოვნია, რომ 10,000 მან. 1903 წლიდან გადაიდოს. 24 მაისის სხდომაზე სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტს საჭიროდ დაუნახავს, ამ საქმის პრინციპიალურად გადაწყვეტამდე, მოსთხოვოს კავკასიის მთავარ-მართებელს დამატებითი ცნობები იმის შესახებ, თუ კავკასიაში რამდენია რუსეთიდან გადმოსახლებული, რამდენი მათი სოფელია, რამდენად საჭიროა ამ სოფლებში ეკლესიების აგება და რა თანხა დასჭირდება სულ. 30 ივნისს მთავარ-მართებლის კანცელარიამ მისწერა ამიერ კავკასიის გუბერნატორებს და სთხოვა აღნიშნულ ცნობების მიწოდება მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე.

✦ ბეჭდვითი სიტყვის მთავარმა სამმართველომ ნება დართო ნ. ი. თამამშევს გამოსცეს ყოველ-დღიური ფურცელი **სამუშაოს შოვნის მსურველთათვის**. ამ ფურცელში მოთავსებული იქნება მთავრობის განკარგულებანი, დეპეშები და განცხადებანი.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ „ბაკინსკია იზვესტია“-ს გამოცემას ინჟენერ გრინევის რედაქტორობით **შეუდგებიან პირველ აგვისტოდან**.

✦ „კავკაზს“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან, რომ „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია მთავრობის განკარგულება ამიერ-კავკასიაში **სავეტერინარო ზედამხედველობის** გაძლიერების შესახებ.

✦ მიწათ-მოქმედების მინისტრმა 4,000 მან. გამოუგზავნა კავკასიის **საოჯახო მრეწველობის** კომიტეტს მისი საჭიროებისათვის,—სხვათა შორის, მუზეუმის დასაარსებლადაც.

✦ ტფილისის გუბერნატორმა დაავალა ყველა მაზრის უფროსებს და პოლიცმეისტერებს, რომ მიიღონ ღონისძიებანი **სადგომის გადასახადის** მოსაკრებად.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკვე დაიქირავა ნიკოლოოზის ქუჩაზე მილოვის სახლში სადგომი **ხორცის დუქნის** გასამართავად და შეუდგა კიდეც იმის მოწყობას. იმედი აქვთ, რომ 10 ივლისისათვის გახსნიან დუქანს. კომისია იმასა ზრუნავს უმთავრესად, საიდან გამოიყვანოს ელექტრონი დუქნის გასანათებლად.

✦ დღეს, 3 ივლისს, ქალაქის გამგეობის წევრის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით დანიშნულია კომისიის სხდომა, რომელმაც უნდა განიხილოს **ხორცის სავაჭრო** ქალაქის **დუქნების** საქმეები.

✦ ხორცის საქალაქო დუქნის გამგეთ მოუწვევიათ გამოცდილი მზარეული, რომელიც **დაამზადებს** დუქანშივე კოტლეტს, როსტბივს, ბიფშტექსს და სხვ. საჭმელებს და უკვე დამზადებული გაიყიდება, რასაკვირველია, უმი. ამ საქმეს დღეიდან შეუდგებიან.

✦ დღეისათვის, 3 ივლისისათვის დანიშნულია კავკასიის **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება** სხვა და სხვა საქმის განსახილველად.

✦ ამ დღეებში ტფილისის საკონტროლო პალატამ მისწერა საგუბერნიო გამგეობას შეატყობინოს ცნობები იმის შესახებ, სახაზინო **ფულით სად რამდენი სახლია აგებული**, რაა ამ სახლებში მოთავსებული—სახელმწიფო დაწესებულება, თუ, კერძო და ვის რამდენი ქირა ერთმევა.

✦ წმ. ნინოს **თელავის საქალებო სასწავლებელი** აცხადებს, რომ წელს სასწავლებლის მოწაფეთ ხელმეორედ გამოცდიან 24-სა და 26-ს აგვისტოს, ხოლო მისაღები ეგზამენები იქნება 27 და 28 აგვისტოს; სწავლა დაიწყება 2 სექტემბერს. სასწავლებლის პანსიონში შესვლის მსურველმა წელიწადში უნდა გადაიხადოს 190 მან.; სწავლის ფასი-კი 40 მანათია.

✦ საქარის სანერგეს გამგემ აგრონომმა სტაროსელსკიმ წარუდგინა მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს კავკასიაში პროექტი ინსტრუქციისა, თუ როგორ უნდა ისარგებლონ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სანერგეს **გუთნებით**.

✦ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა უვარგისად იცნო ტფილისის ამაღლების **საქალაქო სკოლის შენობა** და წინადადება მისცა ქალაქის თვითმმართველობას, რომ სხვა ახალი შენობა მონახონ.

✦ ბათუმიდან გვატყობინებენ, რომ პირველ ივლისს, დილის რვა საათზე, 96 ვერსზე რკინის გზისა, მდინარე დარცხათის ხიდზე შემდეგი მოხდა: ხიდზე მოდიოდა 70 წლის მოხუცი დედაკაცი დამანკინისა. ამ დროს გამოჩნდა მატარებელი. მოხუცებულს შეეშინდა, მატარებელი გამჭყლიტავსო, და მოაჯირიდან წყალში გადავარდა. მატარებელი მაშინვე გააჩერეს და ყველა გაოცებული დარჩა, როდესაც ნახეს, რომ მოხუცებულს არა დაშავებია-რა, მხოლოდ შეშინებია.

✦ სადგურ ქობულეთიდან იუწყებიან, რომ 30 ივნისს, ღამის 11 საათზე ცეცხლი გაუჩნდა სადგურის წყლის საქაჩავს, დაიწვა, რაც კი ხის მასალა ერია შენობაში. ცეცხლი ღამის პირველ საათზე ჩააქრეს. ცეცხლის გაჩენის მიზეზი გაუფრთხილებლობა იყო ორთქლის ქვაბის ფორსუნკის ანთების დროს.

✦ საცხენისიდან გვატყობინებენ: 24 ივნისს ჩვენს სოფელში შემდეგი უბედურება მოხდა. საცხენისის მცხოვრებმა ბარძვინსკიმ ცოლთან ერთად იმდენი სცემა თავის გერს—13—14 წლის ქალს, რომ საბრალო მაშინვე გარდაიცვალა.

✦ ქალაქში რამდენიმე შემთხვევა იყო „მოროჟნით“ მოწამვლისა, მაგრამ მცხოვრებნი მაინც თავისას არ იშლიან და ერთგულად ანადგურებენ ამ გაყინულ შაქარ-რძეს. ამ დღეებში ტფილისის კრუჟოკში „მოროჟნი“ მიურთმევიათ თ—ს, ვ—ს და ს—ს, რომლებსაც საშინელი მუცლის გვრემა, თავის ტკივილი და პირ-საქმე ასტეხიათ. ძლივს დროზე მიშველებიან ექიმები და განსაცდელისაგან გადაურჩენიათ. აბა „კრუჟოკში“ მომზადებული მოროჟნი თუ ასე საშიშია, რა უნდა იყოს უბრალო ბაღებში გაკეთებული ანუ ქუჩაში რომ დაატარებენ ბინძურსა და ჭუჭყიანს!

✦ ოზურგეთის მაზრის სოფ. ვანისქედის მცხოვრების ბლადოჩინ პახუმ თედორეს ძის კიდურაძის საქმეს ტფილისის სამოსამართლო პალატა განიხილავს აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში. როგორც მკითხველებმა იციან, მღვდელს კიდურაძეს ჰბრალდება მოხუცებულ მღვდლის ალექსი მაქსიმეს ძის ჯაშის მოკვლა.

✦ „პრომეთეის“ სააქციონერო საზოგადოების ვექილმა გუშინ, 2 ივლისს, წარუდგინა ტფილისის ქალაქის გამგეობას განცხადება და სთხოვა იჯარით 600 ოთხ-კუთ. საჟენი მიწა 4 წლის ვადით. აღნიშნულ საზოგადოებას განზრახვა აქვს ამ ადგილზე ასაფეთქებელ ნივთიერებათა საწყობები გამართოს.

✦ ამ ერთის წლის წინად ტფილისის ქალაქის გამგეობამ ნაძალადევისა და ლოტკის გორის შესაერთებლად გამართა ხის ხიდი ქვეითად მოსიარულეთათვის. ამ ხიდით ცხენოსანთაც რომ არ ესარგებლნათ, გამგეობამ ხიდის ორსავე ნაპირზე გამართა ხის ჯვრები ისე, რომ ცხენიანს კაცს გავლა არ შესძლებოდა. ამ რამდენიმე ხნის წინად შახგელდიანცის აგურხანის წყლის მზიდავებს და მეთულუხე ბენიამინოვსა და ბაბაიანცს ჯვრები აუღიათ და ზედ ხიდზე დაუწყიათ სიარული, რის გამოც ხიდის იატაკი ისე გაცვეთილა, რომ შესაძლებელია სულ ჩაინგრეს და მცხოვრებნი ისევ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. ამის გამო ქალაქის მესამე ნაწილის სავაჭრო პოლიციის უფროსმა ზედამხედველმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, დაავალოს ხიდის გამფუჭებელთ თავიანთ ხარჯით შეაკეთონ ხიდი.

✦ ტფილისის საუქციონო დარბაზში 24 ივნისიდან 1-ლ ივლისამდე გაიყიდა სულ 1079 მან. და 50 კ. ნივთები.

✦ ამ რამდენისამე ხნის წინად დრ. ულიბეგოვი პასუხის გებაში იქმნა მიცემული იმის გამო, რომ მან თავის მსახურს ვართანოვს ძალა დაატანა, ფიცი მიაღებინა და ტყუილი ათქმევინა, ვითომ ულიბეგოვმა ყოველივე ანგარიში გაუსწორა თავის მოვალეს დისთოვს. ტფილისის სამოსამართლო პალატამ დამნაშავედ იცნო ულიბეგოვი და ვართანოვი და მიუსაჯა პირველს—ზოგიერთ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და სამის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, ხოლო ვართანოვს—ერთის წლით საპყრობილეში დაპატიმრება. ბრალდებულთ სამოსამართლო პალატის განაჩენი უმართებულეს სენატში გაასაჩივრეს. სენატს გაუუქმებია პალატის განაჩენი და დაუვალებია ხელმეორედ ამ საქმის გარჩევა. სამოსამართლო პალატა ამ საქმეს განიხილავს დღეს, 3 ივლისს.

✦ პოლიციის პირველ ნაწილში, ოლგას ქუჩაზე, ყორღანოვის სახლში საწვრილმანო დუქნის პერი აუგლეჯიათ ქურდ-ბაცაცებს 1 ივლისს ღამე. ჩამძვრალან დუქანში და მოუპარავთ ფულად 5 მანეთი და საწვრილმანო ნივთები 7 მან. ღირებული. ორი ბოროტ-მოქმედი უკვე დაიჭირეს.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ 30 ივნისს, დ. ნ. ბაქრაძის თავმჯდომარეობით მოხდა წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის წევრთა წლიური კრება. კრებამ დაამტკიცა წარსულის წლის ანგარიში და მდგომარე წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა. მცირე კამათი გამოიწვია იმ 224 მანეთმა, რომელიც წინანდელ გამგეობას ვალადა აქვს ნაჩვენები ანგარიშში. 224 მანეთისა წინანდელ გამგეობას წიგნები დაჰკარგვია. კრებამ დაადგინა გადახდეს ძველ გამგეობას ის, რაც დაკარგული წიგნები დაჯდა. შემდეგ ილაპარაკეს კიოსკის შესახებ, რომელიც ახალმა გამგეობამ ააგო. დამჯდარა ეს კიოსკი 800 მანეთად. ზოგი ამბობდა, საჭიროა კიოსკში მარტო ქართული წიგნები გაიყიდოს, ზოგი კიდევ—რუსული წიგნები და საკანცელარიო ნივთებიცაო. კრებამ გამგეობას მიანდო, ისე მოაწყოს საქმე, როგორც საუმჯობესოდ დაინახავს. ცოტაოდენი კამათი გამოიწვია აგრეთვე გამგეობის მოხსენებამ განსვენებულ გ. ე. წერეთელთან დადებულ პირობის შესახებ. ამ პირობის ძალით (1892 წ.), გ. წერეთელს უნდა მიეღო მის თხზულებათა გაყიდვის შემდეგ წმინდა მოგების 50%. პირობის დაწერის დროს ავანსად წაუღია 200 მანეთი. მას შემდეგ ამხანაგობას გამოუცია ორი ტომი, სხვა ნაწერები არც თითონ გამოუცია და არც მემკვიდრეთათვის მიუცია მათის გამოცემის ნება, რადგან პირობაში ნაჩვენები არ არის ვადა, რომლის

განმავლობაშიაც ამხანაგობას ნება აქვს იმის თხზულებათა გამოცემისა. კრებამ გამგეობას მიანდო გააუქმოს ეს პირობა და განსვენებულის მემკვიდრეებთან ახალი დასდოს. მერე კრებამ შესცვალა ამხანაგობის ხელშეკრულების მე-10 §-ი და დაადგინა ერთის ადმინისტრატორის ნაცვლად გამგეობაში ორი აირჩიოს, ამასთან ერთის წლის ნაცვლად სამის წლით.

დასასრულ თანამდებობის კაცთა არჩევნები მოხდა.

ერთხმად აირჩიეს ისევ ძველის გამგეობის წევრნი (ბოლონდელი): მმართველად გრ. ი. გველესიანი, ხაზინადრად თ. ა. მთავრიშვილი და ადმინისტრატორად დ. ნ. ავალიანი; ახლად აარჩიეს ადმინისტრატორად ვ. ა. თუმანიშვილი და მდივნად ს. გ. მდივანი. სარედაქციო კომისიის წევრებად ერთხმად აირჩიეს: ეკ. ი. ნიკოლაძე, ს. გ. ყიფიანი, ს. თ. ხუნდაძე, ი. თ. ბაქრაძე და თეოფილე ხუსკივაძე. სარევიზიო კომისიის წევრებად ერთხმადვე არჩეულ იქმნენ ისევ ძველები: თ. კ. ბ. ლორთქიფანიძე, ი. გ. ჩიმაკაძე და ო. ბ. სვანიძე. ბოლოს კრებამ ერთხმად მიიღო ახალი წევრები, რიცხვით 35 კაცი.

დასასრულ ვბეჭდავთ 1902 წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვას:

I. შემოსავალი:

ა) საწევრო ფული	300 მ. — მ.
ბ) აგენტების მიერ გაყიდ. წიგნები	400 „ — „
გ) კიოსკში გაყიდული წიგნები და საკანცელარიო ნივთები	600 „ — „
დ) წიგნების დამტარებლის მიერ გაყ. წიგნები	50 „ — „
ე) წარსულის წლიდან გადმოსული ფული	211 „ 34 „
ვ) საურთიერთო ნდობის საზ. სესხი	500 „ — „
სულ	2061 მ. 34 კ.

II. გასავალი:

ა) წიგნების გამოცემა	600 მ. — კ.
ბ) ექსპედიციის ხარჯი	50 „ — „
გ) საკანცელარიო და სხვა წვრ. ხარჯი	50 „ — „
დ) წიგნთსაცავის ხარჯი (ნათარგმნი წიგნების შეძენა)	5 „ — „
ე) კორექტორის ხარჯი	30 „ — „
ვ) ქუთ. საურთ. ნდობის საზ. შესატ. საწევრო ფული	20 „ — „
ზ) კიოსკის აშენება ქალ ბაღში	600 „ — „
ჱ) კიოსკის ავეჯეულობა, განათება და გათბობა	60 „ — „
თ) წიგნ. გაზეთ. და საკანც. ნივთების შეძენა	544 „ 34 „
ი) კიოსკის გამგის დაქირავება	90 „ — „
ია) სავაჭრო მოწმობის აღება	12 „ — „
სულ.	2061 მ. 34 კ.

რუსეთის ქრონიკა

✦ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მთავრობა პეტერბურგის თვით-მმართველობის საქმეთა რევიზიას შეუდგა. ამის გამო „პეტ. ვედ".-ი სწერს, რომ მარტო პეტერბურგის თვით-მმართველობის საქმეთა რევიზია არ არის განზრახულიო. აზრადა აქვთ თურმე სხვა დიდ ქალაქების საქმეთა რევიზიაც მოახდინონ. რევიზიები დაიწყება მომავალ შემოდგომაზე და გასტანს გაზაფხულამდე. შედეგი რევიზიებისა გამოქვეყნებული იქმნება „პრავ. ვესტნიკ"-ში. შინაგან საქმეთა სამინისტრო ჰფიქრობს, ამ რევიზიების შემდეგ დააწესოს სამინისტროსთან განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელის რამდენიმე თანამდებობა. ამ მოხელეებს დაევალებათ ადგილობრივ ქალაქის საქმეთა შესწავლა. ამათვე უნდა განუმარტონ ხოლმე ქალაქის თვით-მმართველობის მოღვაწეთ სამინისტროს აზრ-შეხედულებანი ამა თუ იმ საგანზე და სამინისტროს ესა თუ ის განკარგულება. ამას გარდა დრო გამოშვებით გამოიცემა და დაურიგდება თვით-მმართველობებს ქალაქის გამგეობათა მოქმედების მიმოხილვანი.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრო ჰფიქრობს მოაწყოს მოსავლის შესახებ ცნობების შეკრების საქმე. განხილვა და შემუშავება ამ საქმისა მიენდო განსაკუთრებულ კომისიას, რომლის თავმჯდომარედაც შინაგან საქმეთა მინისტრია, ხოლო წევრებად—სხვა-და-სხვა უწყების წარმომადგენელნი. მუშაობას კომისია სექტემბერში შეუდგება.

✦ გზათა მინისტრმა ნება დართო რკინის გზის გამგეობებს კვირა-უქმეობით შეზღუდონ მაგარ სასმელების ვაჭრობა სადგურის ბუფეტებში.

✦ საყურადღებო ბრძანება გაუცია პეტერბურგის სამხედრო ოლქისა და გვარდიის ჯართა უფროსს. ამ ბრძანებაში ნათქვამია: „1) ყოველი ისეთი შემთხვევა, როდესაც ჯარში ახლად გაწვეულ ჯარის-კაცს სცემენ მასწავლებელნი და მწვრთნელნი, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ხოლმე მთავრობას უმაღლესად წარსადგენად; 2) დამნაშავე მასწავლებელნი დაუყოვნებლივ სამართალში უნდა იქმნან მიცემულნი; ასეთ მასწავლებელს, სულ ერთია სასამართლო გაამართლებს თუ არა, აღარასოდეს აღარ უნდა მიენდოს ახალგაზდა ჯარის-კაცთა წვრთნა; 3) სასტიკად უნდა დაისაჯოს როტის უფროსი, როგორც პასუხის მგებელი მასწავლებელთა ცუდის საქციელისა; შეიძლება როტის უფროსი სამსახურიდანაც იქმნეს დათხოვნილი".

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტროს აზრადა აქვს დააწესოს სამაზრო სამხედრო საქმეთა საკრებულოებში აუცილებელ წევრთა თანამდებობანი. ამ წევრებს მიენდობათ საკრებულოს საქმის-წარმოება.

პრესსა

ბოლოს დროს გაზეთებში ლაპარაკი ჩამოვარდა გიმნაზიების მასწავლებელთა კოლეგიის გაუმჯობესების საჭიროებაზე. გაზები ერთხმად ამბობენ, რომ უკანასკნელ 15—20 წლების განმავლობაში მეტად დაქვეითდა მასწავლებელთა კოლეგია, რომ ბევრი და უკეთესი ელემენტი გაურბის საშუალო სასწავლებელთ, ცუდმა კი ფეხი მაგრად მოიკიდაო. სხვა-და-სხვა ღონისძიებათა შორის გაზეთების უმრავლესობას უსაჭიროეს ღონისძიებად, რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს მასწავლებელთა წრე, მიაჩნია ჯამაგირების მომატება. „პეტერბ. ვედომ."-ი არ უარჰყოფს ამ ღონისძიებას, მაგრამ თავის მხრით უფრო საჭიროდ სთვლის ერთ საყურადღებო გარემოებას, სახელდობრ: გიმნაზიების საპედაგოგიო საბჭოებს მეტი თავისუფლება უნდა მიენიჭოსო.

> ამ საჭიროების შესახებ ბევრი დაწერილა რუსულ ჟურნალ-გაზეთებში; ამის გამო ხშირად ყოფილა ლაპარაკი საერო განათლების სამინისტროს ცირკულიარებშიაც; მაგრამ ყველამ, ვინც ახლო სდგას ამ საქმესთან, იცის, რომ მიუხედავად ამ ლაპარაკისა, საპედაგოგო საბჭოს უფლება არასოდეს არ გაუფართოვებიათ, რომ დღემდის მეტად შეზღუდულია როგორც თითოეულ პედაგოგის, ისე პედაგოგთა კრების უფლებანი. თითოეული პედაგოგი და საპედაგოგო საბჭოც თავის მოღვაწეობაში შეზღუდულია ათასგვარ ფორმალურ მოთხოვნითა და წესით, რითაც მეტად ბრკოლდება აღზრდა-განათლების საქმე. მშობლები და საზოგადოება ხშირად უჩივიან მასწავლებელთ სხვა-და სხვა უსარგებლო ფორმალიზმის შესახებ და ისკი არ იციან, რომ ხშირად თვით მასწავლებელიც წინააღმდეგია ამ ფორმალიზმისა, მაგრამ რა ჰქნას, როდესაც ამას თხოულობენ მრავალი ცირკულიარ-განკარგულებანი?!

„რუსსკ. ვედომ."-ი მეტად იწონებს ამ მოსაზრებას და თავის მხრით დასძენს:

> თუ საპედაგოგო საბჭოებს მეტ თავისუფლებას მიანიჭებენ, ეს გააცოცხლებს სწავლა-აღზრდის საქმესაც და ამასთანავე საშუალო სასწავლებელში საუკეთესო ელემენტებს მიიზიდავს.

⁂

საგანგებო კომიტეტმა, რომელსაც მინდობილი აქვს სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამოკვლევა, ამას წინად შეიმუშავა მცირე კრედიტის პროექტი. ეს პროექტი კიდეც დაიბეჭდა გაზეთებში, და თუ ჩვენ არ გავაცანით მკითხველთ, ეს იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანას ნაკლებ შეეხება. პროექტით, უმთავრესი როლი კრედიტის მოწყობის საქმეში ეკუთვნის ერობას, ესე იგი, იმ დაწესებულებას, რომელიც ჩვენში არ არსებობს და რომლის მაგიერობას კრედიტის საქმეში მაინც ვერავინ გასწევს. მართალია, გარდა ერობისა პროექტით ადმინისტრაციის განკარგულებაშიაც არის საკრედიტო დაწესებულება, სახელდობრ საგლეხო ბანკი ან კასსა, მაგრამ მათი მნიშვნელობა ერთობ მცირე იქნება, ყურის მგდებელიც კანონით საერობო უფროსი იქნება, ესე იგი მოხელე, რომელიც აგრეთვე არ არსებობს ჩვენში. ამრიგად პროექტს სახეში ჰყავს მარტო შიდა გუბერნიები, რომელთა წყობილების თანახმად აწესრიგებს მცირე კრედიტის საქმეს; თუ იგი ამ სახით დამტკიცდა, იმ შემთხვევაში ნაკლებ გავლენას მოიპოვებს ჩვენს სოფელზე, მანამდი მაინც, სანამ ჩვენშიაც არ დაწესდება ერობა...

აი, ამ პროექტის შესახებ აქვთ ამ ჟამად ლაპარაკი რუსულს გაზეთებს. საერთოდ გაზეთები თუმცა იწუნებენ პროექტს (სავსებით ვერ დააკმაყოფილებს სოფლის საჭიროებასაო), მაგრამ ახლანდელ უარარაობასა და ამ საქმის უწესრიგობასთან შედარებით მაინც სიხარულით ეგებებიან მას. მის დიდ ნაკლად სთვლიან მხოლოდ იმას, რომ პროექტი სრულის ნდობით არ ეპყრობა ერობას, რაც იქედანაც სჩანსო, რომ ერობის მოქმედება კრედიტის საქმეში ცოტათი შეზღუდულიც არის და, გარდა ერობისა, ადმინისტრაციასაც აქვს დავალებული ეს საქმე. ძნელი დასაჯერებელიაო, სამართლიანად ამბობს გაზ. „დონსკ. რეჩ", რომ

> ამგვარმა ორჭოფობამ კრედიტის საქმე რიგიანად დააყენოს. სწორედ მცირე კრედიტის საქმეს ეჭირვება მწყობრი ორგანიზაცია, რათა ნორმალური მსვლელობა ჰქონდეს და შეეძლოს ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. კომიტეტის მიერ მოწონებული პროექტი, ხსენებულ ორჭოფობის მიზეზით, ხელს შეუშლის ერობასაც და ადმინისტრაციასაც: პროექტით, ერთ და იმავე ალაგას, ერთ და იმავე დროს იმოქმედებს საკრედიტო დაწესებულების ორი ტიპი, ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი, ორ სხვა-და-სხვა ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ; ამგვარი განცალკევება ვერ შეჰქმნის დახმარების სისტემის ერთგვარობას, რაც, ვიმეორებთ, კრედიტის საქმეში მეტად საჭიროა.

დაბა-სოფლები

სოფ. საყულია (ქუთ. მაზრა). რადგანაც მიწის ხვნა-თესვა ვეღარ აკმაყოფილებს ყოველ გვარ მოთხოვნილებას, ჩვენმა სოფლელებმა ხელი მოჰკიდეს წარმოების სხვა-და-სხვა დარგს: მეაბრეშუმეობას, ბაღოსნობას და მევენახეობას. ამას გარდა ჩვენებურნი მიდიან ქალაქებში და იქ დგებიან ან დღიურ მუშებად, ან დუქნებსა და სახელოსნოებში ნოქრებად, ან კიდევ შინა მოსამსახურეებად, მაგ. დალაქებად, მზარეულებად და სხვ. ქალაქებში წარსულთა გარდა, რომელთა რიცხვი ორმოცამდეა, მცხოვრებთა ორი წილი მისდევს ზემოხსენებულს ახალს წარმოებას, ერთი წილი კი ისევ ძველებურად ამუშავებს მიწას. ამათში ურევია რამდენიმე კაცი, რომელნიც ყიდულობენ აქვე პარკს, კარტოფილს, კომბოსტოს და ყველა ამას ასაღებენ ბათომ-ტფილისში. წელს კომბოსტო ეთესა მარტო ზედა საყულიაში 15 კომლს. და გაჰყიდეს ჩვენმა სოფლელებმა 2950 მანეთის კომბოსტო. სამი ამოდენა კარტოფილი და პარკი გაიყიდება, თუ ადგილობრივმა ფეხზე გაჭრებმა არ დასწიოს მაზანდა. სოფლიდან სადგურამდი სანოვაგეს ურმებით ეზიდებიან: იშვიათია ისეთი დღე, რომ ხუთი-ექვსი ურემი არ წავიდ-წამოვიდეს. ვერ წარმოიდგენთ, რა გაჭირვებით მგზავრობენ უგზოობისა და უხიდობისა გამო. აქაურს მამასახლისს დიდი ხანია ნაბრძანები აქვს ამ გზის შეკეთება, მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი უზრუნვია.

უგზოობის გარდა სოფლის უმთავრესს ნაკლს შეადგენს ხარჯები ქორწილებსა და ტირილზე. არავითარ მოთხოვნილებაზე იმდენი არ ეხარჯება ხალხს, რამდენიც ქორწილსა და ტირილზე. საბედნიეროდ, ამ ბოლოს დროს ბევრმა შეიგნო მავნებლობა ამ ჩვეულებისა და ამიტომ ანახევრამესამედებენ ხარჯს, ზოგი სულაც სპობს.

23 აპრილს გარდაიცვალა გლეხი მ. ჯ—ლი. ჭირისუფლებმა მესამე დღეს გაასვენეს ამნაირად: მოიწოდეს მეზობლები, მიასვენეს ეკკლესიაში მიცვალებული, აწირვინეს მღვდელს და შემდეგ დაასაფლავეს; მერე მეზობლები, მოყვრების გარდა, წავიდ-წამოვიდნენ თავიანთ სახლებში. ამ გვარი ქცევა ჭირისუფალთა ბევრს ძლიერ საწყენად დარჩა: „რატომ ჩვენგან გადასახურავი არ მიიღეს, სადილი არ გვაჭამეს და ძველი ჩვეულება მოსპესო. დღეის შემდეგ არც ჭირსა და არც ლხინში იმისს შვილებსა და ძმას არ მივეკარებითო". უმცირესობა თანაუგრძნობდა ამ გვარს წესს გასვენებისას.

წელს აბრეშუმის ფასი 12—14 მანეთამდე იყო, თუმცა ამ ბოლო დროს ქუთაისში აბრეშუმი 15 მანეთადაც იყიდება. მოსავალი აბრეშუმისა ძლიერ კარგი იყო.

საყულიელი.

ს. ვარდისუბანი (თელავის მაზრა). აგერ თვე-ნახევარი გადის თითქმის, რაც ცის ნამი აღარ გვღირსებია. გაოხრა გვალვამ სიმინდ-ფეტვები და სხვა მცენარეულობა. თუ წვიმა არ მოვიდა და გვალვამ კიდევ რამდენსამე ხანს გასტანა, გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩაცვივდება გლეხ-კაცობა. მომეტებული ნაწილი გლეხ-კაცობისა იკვებება სიმინდ-ნარევის პურით, რადგან წმინდა პური საკმაოდ ვერ მოჰყავთ უმამულობისა გამო. როდესაც სიმინდის მოსავალი კარგია, პურის ფასი შესამჩნევად კლებულობს, ხოლო როდესაც ცუდია—მატულობს, რადგან გლეხ-კაცი აღარ ჰყიდის პურს უსიმინდობისა გამო. წელსაც თუ სიმინდის მოსავალი რიგიანი არ იქნა, პურს ისევ ისეთი ფასი დაედება, როგორიც ამ ორის წლის განმავლობაში იყო, ე. ი. კოდი სამი მანეთიდან ოთხ-მანეთამდე.

ხანდრო.

ს. გომი (გორის მაზრა). „სინდიკატის" დარბაზში 29 თიბათვეს, კნ. მ. ამირეჯიბის თაოსნობით გაიმართა საცეკვაო საღამო გიმნაზიაში სწავლა დამთავრებულ ალ. უ—სა და გორის სამოქალაქო სასწავლებლის სასარგებლოდ. საღამოსთვის დიდძალი ხალხი მოვიდა როგორც სოფლებიდან, ისე მახლობელ დაბებიდან. ორ საათამდინ ხალხი ცეკვითა და სიმღერით იქცევდა თავს. უკრავდა სამხედრო მუსიკა, რომელიც უსასყიდლოდ დაუთმო სურამში მყოფ რაზმის უფროსმა, და საზანდარი. ორ საათზედ გაიშალა ვახშამი, რომელმაც გასტანა დილის რვა საათამდის. შემოსავალი 600 მანეთამდის იქნება. მადლობის ღირსნი არიან საღამოს გამმართველნი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! რადგანაც საშუალება ნებას არ მაძლევს, რომ მადლობა შევსწირო თითოეულად ყველა იმათ, ვინც მე პატივი მცეს და წერილებით თუ დეპეშებით მომილოცეს ჩემის სტამბის 30 წლის არსებობა, ამისათვის თქვენის გაზეთის საშუალებით ყველა იმ ჩემს პატივის-მცემელთ უღრმესს მადლობას ვუცხადებ.

ამასთანავე არ შემიძლია ეს ჩემი დღესასწაული არ აღვნიშნო, შეძლებისა-და-გვარად, კეთილის საქმის დაწყებით. ამისათვის უმორჩილესად ვსთხოვ ბ.ბ. სოფრონ მგალობლიშვილს, ილია ფერაძეს და ანდრია დულაძეს, აარჩიონ რამე ნაწარმოებნი ჩვენთა მწერალთა, ანუ შეადგინონ რამე კრებული, რომელსაც სრულის ჩემის ხარჯით დავბეჭდავ და გამოვსცემ 1200 წიგნს და გადავსცემ ამავე აზრით, რათა სრული შემოსავალი მოხმარდეს ასოთ-ამწყობთა და მბეჭდავთა დამხმარებელ კასსის ფონდს.

ექვთიმე ივ. ხელაძე.

1902 წ. 2 ივლისი.

წერილი კახეთიდან

(წინა წლების მოუსავლობა.—მუშაობა საუფლისწულო უწყების მამულებში.—მეაბრეშუმეობა და ჩარჩ-ვაჭრების ოინები)

შვიდ-რვა წლის წინად პურისა და ღვინის მოსავალი შეადგენდა გლეხთა არსებობის უმთავრეს წყაროს. სამწუხაროდ, რვა წელიწადია, რაც სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო, პურისა და ღვინის მოსავალმა სისტემატიურად იკლო. წინად თუ მცხოვრებთა 80% ერთის წლის მოსავლით უზრუნველ-ყოფილი იყო თითქმის ორს-სამს წელს და ხშირად ბაზარზედაც გაჰქონდა გასასყიდათ, ეხლა, ამ უკანასკნელ წლებში, მცხოვრებთა 80% ექვსი თვის შემდეგ მოსავლის მოკრეფიდან შიმშილში ვარდება. წინად პურითა და ღვინით დატვირთული უთვალავი ურმები კახეთიდან ტფილისსა და სხვა ქალაქებისაკენ მიდიოდა, ეხლა ასეთი ურმები და ფურგუნები სხვა ქალაქებიდან მოდიან ჩვენსკენ. ხშირად შეხვდებით ეხლა გლეხს, რომელსაც ორი ან სამი ფუთი ფქვილი თელავიდან შინისაკენ მიაქვს. ერთის სიტყვით, წარმოუდგენელი ის ცვლილება, რომელიც ამ 7—8 წელს მოხდა.

სწორედ ესაა მიზეზი, რომ გლეხმა მამაპაპის ჩვეულებას უღალატა და ხვნა-თესვის გარდა სხვა საქმესაც მიჰყო ხელი. უპირველეს ყოვლისა შესამჩნევია ის გარემოება, რომ გლეხობამ, დიდით-პატარამდე და კაცით-ქალამდე, დღიურად მუშაობა იწყო საუფლისწულო უწყების მამულებში. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ჟამად შუაგულ კახეთის ვენახების სამ-მერვედს საუფლისწულო მამულები შეადგენენ. ამ მამულებს ყოველ წლივ ორჯელ მეტი მუშა ხელი სჭირდება, ვიდრე ვენახების დანარჩენ 5/8-ს.

ყურადღების ღირსია შემდეგ მეაბრეშუმეობა. ეს სამი წელიწადია, რაც ფეხი მოიკიდა და სისწრაფით ვრცელდება სოფლებში აბრეშუმის მოვლა-მოშენება. ორთა შუა რიცხვით თვითო ოჯახი სამ ფუთამდე პარკს ამზადებს, ხოლო ფუთი 12—16 მანეთად იყიდება. უბედურება ის არის, რომ ჩარჩ-ვაჭრებმა ამ საქმეშიაც გამოჰყვეს თავი. ამ ვაჟბატონებმა შეადგინეს ამხანაგობა, რომლის წევრებმაც პირობა დასდეს: 1) ვიყიდოთ პარკი საამხანაგოდ, მხოლოდ ამხანაგობის დაარსების ამბავი ნურავის შევატყობინოთ; ყველას უთხრათ, რომ ცალ-ცალკე ვვაჭრობთ; 2) მაშინ ვიყიდოთ

პარკი, როდესაც პეპელა გამოსვლას დააპირებს: ეს გარემოება იძულებულ-ჰყოფს გლეხებს ჩვენის სურვილისამებრ მოგვყიდონ პარკი, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, პარკი გაუფუჭდებათ; 3) თვალ-ყური ვადევნოთ იმას, თუ რომელ გლეხს გაუჭირდება ფული და ვასესხოთ იმ პირობით, თუ 8—10 მანეთად პარკს [illegible] და 4) ვაჩვენოთ ყველას ყალბი წერილები და ტელეგრამები, რომ პარკის ფასი სხვაგან დაწეულია და თუ 8—10 მანეთად არ მოგვცემენ პარკს, ზაქათალიდან მოვიტანოთ იგი. ასეთის პირობების წყალობით ჩარჩები ფონს გავიდნენ კიდეც და წელს მთელი პარკი 8—10 მანეთად აიღეს. ჩვენი გლეხი შორს ბაზარზე ვერ გაიტანს პარკს, ამისათვის არც ფული მოეპოვება და არც გამოცდილება; სახლში აბრეშუმად ამოხვევა შეუძლებელია, ამოსახვევ მანქანების უქონლობისა გამო.

ყველა ამის-და მიუხედავად, აბრეშუმის წარმოება კახეთში თან-და-თან ფართოვდება და, ვგონებ, ახლო მომავალში თვალ-საჩინო ადგილს დაიჭერს გლეხთა ცხოვრებაში. ამიტომ ურიგო არ იქმნება ყურადღება მიექცეს ჩარჩ-ვაჭრების თავ-გასულობას. ჩემის აზრით, კარგი იქმნება ტფილისის სამეურნეო საზოგადოებამ თელავში, უკვე არსებულ სააგენტოსთან, მოაწყოს წვრილი კრედიტი იმ პირობით, რომ აგენტს შეეძლოს პარკის ყიდვა და გაგზავნა. თუ ეს მოუხერხებელია, ურიგო არ იქმნება ადგილობრივმა შეძლებულმა კაცებმა დააარსონ ამხანაგობა კარგის თესლის შესაძენად და სოფელში დასარიგებლად. ამ ამხანაგობამ უნდა შეისყიდოს ადგილობრივ პარკი და მოუპოვოს მას ბაზარი.

დასასრულ, უნდა ვაუწყოთ მკითხველს, რომ თელავში არსებობს აბრეშუმის ამოსახვევი ორი ქარხანა ბ-ნთ ანიევისა და ბოიევისა. ორივეში 170-მდე მუშაა, ქალი და ვაჟი, 10—30 წლისანი. მუშაობა იწყება დილის 6 საათზე და თავდება საღამოს 8 საათზე. დღიური ფასი 20 კაპ.—50 კაპეიკამდეა.

ბ—ზი

უცხოეთის წვრილი ამბები

პრინცი-ბერი. საქსონიის ახალი მეფის გეორგ საქსონელის უმცროსმა შვილმა (იმას ეძახიან პრინც მაქსს) სრულიად სხვა გზა ამოირჩია თავისთვის, რომელიც სრულიად უცხო და არაჩვეულებრივია იმის შთამომავლობის კაცისათვის. ერთის მხრით ის შეუდგა განყენებული მეცნიერების შესწავლას, იმასა აქვს უფლებათა დოქტორის ხარისხი და ღვთის მეტყველების დოქტორისა და ფრეიბურგის უნივერსიტეტის პროფესორად არის შვეიცარიაში; მეორე მხრით კიდევ, სასულიერო წოდებაში შევიდა. უნდა შევნიშნოთ, რომ თითონ მეფე გეორგიც დიდი ღვთის-მოსავი კაცია და თავის შვილებსაც ამ მხრივ ყოველგვარი სასულიერო აღზრდა-განათლება მისცა; იმის უმცროსს შვილზე, პრინც მაქსიმილიანეზე, მამის გაკვეთილებმა ბავშვობაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, და 26 ივლისს 1896 წელს პრინცი აღიკვეცა ბერად; ხოლო ორი წლის შემდეგ ნიურენბერგში დანიშნეს სამღვდლო თანამდებობაზე. აქედან ის მიიწვიეს, არჩევნებით, კანონიური უფლების და ლიტურგიკის კათედრაზე ფრეიბურგის კათოლიკეთა უნივერსიტეტში. პაპის სასახლეში (ვატიკანში) ძალიან უნდათ, რომ ახალგაზდა პროფესორი, ვინაიდან იგი ხელმწიფის შთამომავალია, მალე გახდეს ეპისკოპოსი და კარდინალი, მაგრამ პრინცი, როგორც ნამდვილი ქრისტიანე, სრულის გულის სიწმინდით უარს ჰყოფს ყოველ გვარ პატივს და დიდებას. ის ნამდვილ ბერულად სცხოვრობს, მოგზაურობს არამც თუ როგორც პრინცი, ხშირად მოსამსახურეც არ ახლავს. თუ ნახა ვინმე ის ანაფორით მიმავალი გზაში, თავის დღეში ვერ წარმოიდგენს, რომ ის დიდებული გვარის კაცია და დიდი განათლებული, და არა სოფლის უბრალო მღვდელი; იმას თითონაც არა სურს, რომ რითიმე განირჩეოდეს უბრალო მომაკვდავ მღვდლისაგან. თუმცა ის თავის დიდებულ შთამომავლობას ფარავს და არ ამჟღავნებს, მაგრამ იმისი ღრმა განათლება და შესანიშნავი მჭევრმეტყველური ნიჭი ცხადაც ამხელენ, რომ ახალგაზდა პროფესორი თავის მოძმე სამღვდლო პირთ არაფრით არა ჰგავს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 ივლისი

კიევი. დაარსდა სამკურნალო საზოგადოება, რომელსაც აზრად აქვს დახმარება აღმოუჩინოს ყველას უბედურ შემთხვევების დროს. ოთხასი წევრი ჰყავს საზოგადოებას. თავმჯდომარედ ქალაქის თავია.

პენზა. დაარსდა საიმპერატორო რუსეთის სატეხნიკო საზოგადოების განყოფილება.

ადესა. დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილისძე დღეს დილით პეტერბურგში წავიდა.

ლონდონი. ახალ კაბინეტის შედგენის შესახებ ვერ შეთანხმებულან, რადგანაც ჩემბერლენმა დიდი სახელი მოიპოვა.

ლონდონი. მეფე კარგად არის. საზოგადო მდგომარეობა ჩინებულია. ჭრილობა კარგად ურჩება.

რომი. „Populo Romano" შენიშნავს, რომ ხელმწიფე და მეფე არა მარტო ოჯახურის დამოკიდებულებით არიან დაკავშირებულნი, არამედ სიმპატიითაც, რომელიც აღმოცენდა პირად მეგობრობის ნიადაგზედ. შემდეგ დასძენს, რომ არაფერი არ შეუშლის ხელს ამ ორს მეფეთა შორის გულწრფელი მეგობრობის არსებობასა. „Patria" ამბობს, რომ მეფე სასურველი სტუმარია ხელმწიფისა, რომელსაც იგი მთელი ერის სალამს გარდასცემს.

კიევი. პოდოლის გუბერნიაში თავის მამულში გარდაიცვალა ალექსანდრა ანტონის ასული პიროგოვისა, გამოჩენილი ქირურგის ქვრივი, 77 წლისა. განსვენებული ცნობილი იყო, როგორც დიდი ქველ-მოქმედი ადამიანი და კიევში რამდენსამე საავადმყოფოში დაარსა ადგილები თავის ქმრის სახელზე. დაასაფლავებენ საგვარეულო აკლდამაში.

რომი. სამრეკლო სან-მარკო გადმოიქცა. ჰგონიათ, რომ არავინ არ უმსხვერპლია. მოედანი, რომელზედაც ეს დიდებული ძეგლი იდგა, მოფენილია ნანგრევებ-ნამტვრევებით. ამ ადგილის გაწმენდას შეუდგნენ.

პეტერბურგი. პირველ ივლისს, დილის 9 საათზე და 30 წუთზე, იტალიის მეფე იახტა „ალექსანდრია"—თი პეტერგოფიდან პეტერბურგს წავიდა. ქალაქი ბაირაღებით მორთულია; ნავთსადგურთან აშენებულია კამარა, რომელიც მორთულია ბაირაღებით. ნავთსადგურში მეფეს დაჰხვდნენ ვიცე-ადმირალები აველანი და დელივრონი, კონტრ-ადმირალი მოლასი, ქალაქის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი, კომენდანტი, გუბერნატორი და ქალაქის თავი; ამ უკანასკნელმა ფრანგულს ენაზე სიტყვა უთხრა და პურ-მარილი მიართვა; მეფემ მადლობა გარდაუხადა, შემდეგ საპატიო დარაჯს ჩაუარა. შემდეგ მეფე თავის ამალით პეტრე-პავლეს ტაძარში გაემართა. იმპერატორის ალექსანდრე მესამის საფლავს ვერცხლის გვირგვინი დაადო და მერე თავადი დოლგორუკოვის თანხლებით გარეშე საქმეთა მინისტრის და ელჩების სანახავად იყო. შემდეგ იტალიის საელჩოში წავიდა, სადაც გამართული იყო საუზმე იტალიის სასახლის მიერ უმაღლესს ხელმწიფო პირებისთვის. საუზმის შემდეგ წარუდგნენ იტალიელთა ახალშენების—პეტერბურგისა, მოსკოვისა და ოდესის—დეპუტაციები. მესამე საათზე მეფე საზამთრო სასახლეში წავიდა, სადაც მიიღო სადიპლომატიო კორპუსი.

ლონდონი. სოლსბერის სამსახურიდან გამოსვლამ არავინ არ გააკვირვა. რამდენისამე თვის წინად იცოდნენ, რომ იმან მწუხარება ვერ დასძლია თავის მეუღლის გარდაცვალების გამო. თუმცა კიდევ ჯანმრთელად არის, მაინც მრავალწლოვანმა შრომამ სამსახურში თავისი ნიშანი დაასვა. რადგანაც სოლსბერის მარტო წოდება ჰქონდა ბეჭდის საიდუმლოდ შემნახველისა, ამიტომ ახლანდელს კაბინეტში ბევრი არაფერი ცვლილება არ მოხდება. ბალფურის დანიშვნის გამო, როგორც ხაზინის პირველის ლორდისა და ლიდერისა დეპუტატთა პალატაში პირველ მინისტრად, ჩვეულებრივი წეს-წყობილება უკანასკნელი წლებისა, რასაც მხარი შეუქციეს სოლსბერის დანიშვნის გამო, ისევ ჰბრუნდება.

2 ივლისი.

პეტროვსკი (დაღესტნის ოლქი). დღეს შემოიღეს დაღესტნის ოლქში მაგარ სასმელების სახელმწიფო მონოპოლია.

მოსკოვი. სტუდენტების აგარაკში დაიწყო ბაღოსნობის და მებოსტნეობის კურსები საერობო სკოლების მასწავლებელთათვის.

ლოძი. იმპერიის სხვა-და-სხვა კუთხიდან დიდ-ძალი მეიდველი მოვიდა. მოსკოვის ვაჭრებმა ლოძიდან ოთხ მილიონ მანეთზე მეტის საქონელი წაიღეს. ვაჭრობა აგვისტოს დამდეგამდე გასტანს.

დრუსკენიკი. დაიწვა სამკურნალო წყლების საბანაო შენობა. ზომებია მიღებული, რომ აქ მეორე ავადმყოფებს საბანაოები ჰქონდეთ.

ათინა. ბუქარესტში მყოფი საბერძნეთის ელჩი არშროპულო დანიშნულ იქმნა პეტერბურგში.

ცეტინიე. ოსმალეთის მისსია ოფიციალურად იქმნა მიღებული. საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელმა გადასცა მთავრის შვილს მირკოს ორდენი საპატიო ლეგიონისა, ამასთან ლუბეს მხრივ უსურვა ბედნიერება.

რომი. გაზეთები დიდის თანაგრძნობით აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ მეფე რუსეთში კარგად იქმნა მიღებული.

პეკინი. სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა გაუგზავნეს ჩინეთის მთავრობას საგანგებო ნოტა ტიანძინში ევროპიელთა მართვა-გამგეობის გაუქმების შესახებ.

რომი. წმ. მარკოზის სამრეკლომ ვენეციაში ჩამონგრევის დროს გაანადგურა ლოჯეტა სან-სავინო, პროკურაციის კამარა და სამეფო სასახლის წიგნთ-საცავი. რადგანაც წინადვე შენიშნეს, რომ კოშკი ინგრეოდა, მოედანი ხალხისაგან გასწმინდეს, ამიტომ უბედურება არა მომხდარა-რა, მხოლოდ რამდენიმე კაცი დაშავდა. დღეისათვის ქალაქის საბჭოს საგანგებო კრებაა მოწვეული.

პეტერბურგი. რადგანაც იუსტიციის მინისტრი მურავიოვი პეტერბურგიდან წავიდა, სამინისტროს საქმეთა გამგეობა გადაეცა სენატორს შმემანს.

$2^{\text{ე}}$ ივნისს პეტერბურგის გაზეთებმა გაიგეს დიდის უბედურების ამბავი, რომელიც მდინარე ლუგაზე მომხდარა: 29 ივნისს გემი „ლუგა", რომელიც დადიოდა ვარშავის რკინის გზის სადგურ პრეობრაჟენსკსა და დაბა ხილოკის შორის, ჩასძირა. გემიდან ის იყო ხალხი გადასხეს. გადარჩნენ მხოლოდ ისინი, ვინც პალუბაზე იყვნენ, კაიუტებში მყოფნი დაირჩვნენ. დაღუპულთა რიცხვი ჯერ გამორკვეული არ არის, ჰფიქრობენ, რომ 30-დან 60 კაცამდე დაიღუპა.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი. ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. დ- 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევს 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—დამი- 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის დასაწყისში ძველ აბანოებთან მარცხნივ თათრის მოედნიდან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

ტფილი გოგირდის აბანო

„ფანტაზია"

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37_{50} ც. ფასი მცირეა. კონკაც იქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (ხანდრო).

ტელეფონი № 555. წლ.—6).

წასვლის გამო

იყიდება

ს ა რ ძ ე ვ ე,

კირპიჩნის ქუჩა, გაბაევის სახლი № 3.

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ვისაც ჰსურთ საბოლოო საარჩევნო სიებში იქმნენ ჩარიცხულნი, დასაფასებელ გადასახადის დანარჩენი ნაწილის მიღება კიდევ შეიძლება სიების დაბეჭდვამდე. ბეჭდვა სიებისა უკვე დაიწყო და დასრულდება ახლო მომავალში. (1—1)

ტფილისიდან გასვლის გამო ვეიდი ჩუღურეთში

იაფად

სახლს.

მსურველს ვსთხოვთ მიჰმართონ „ცნობის ფურცლის" კანტორაში, შუადღის 12 საათიდან ვიდრე 3 საათამდის. (10—6)

ზ ი გ

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

გვრის მოედანზე, ყაფანთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 **ფუთი** 40 **კაპ.**).

ტელეფონი № 754. (.წ).

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ახალი წიგნი

ფიზიოლოგია

დ-რი ფოსტერისა

სურათებით

ფასი **25 კ.**

იყიდება წიგნების გამომცემელ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში.

მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა

ქ. ქუთაისში

გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას,** რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის საქონელი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და შუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარ-გარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭლეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრიჯაოს ნაწარმოებნი. ვენის გაღუნული ბამბუკის სახლის ავეჯეულება. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და-სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და საღვარ-გართელი გიტარები, სკრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკკლესიო კუთვნილებანი.

ყველაფერი ისყიდება **ზომიერ ფასად და უვაჭროდ.** (45—43)

Дозв. ценз. Тифлисъ, 2 Іюля, 1902 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).